

NEW LIFE

The Magazine of the Jewish Georgian Community in the USA

December 1994 Tevet 5755

ახალი ცხოვრება

6

НОВАЯ ЖИЗНЬ



„ბისურობით

მუვიღ

ცხოვრებას“

გ უ ლ ო ც ა ვ თ

ჩ ვ ე ნ ს

მ კ ი თ ხ ვ ე ლ ე ბ ს

ა ხ ა ლ

1 9 9 5

წ ე ლ ს

ნომერ შია:

- 3** რეპე ლუბაფინის სიტყვა
- 5** „ოდესმე“ დისკუსიის გაგრძელება
- 7** ჩვენი ისტორიის ფურცლები
- 11** უნძოდ ტიროდა ბიჭი
- 14** ამბები საქართველოდან
- 16** ერთი ბედის ხალხი ვართ
- 18** შევინარჩუნოთ ჩვენი ფასეულობანი
- 21** მთავარია სიმშვიდე
- 25** მოსადი

გარეკანზე: პოლიციელი შალვა გურიელოვი.
ეფიმ სუსუნიაკაშვილის ფოტო

На обложке полицейский Шалва Гურიелов.
Фото Ефима Сусуникашвили.

NEW LIFE

The Magazine of the Jewish Georgian Community in the USA

ქართველ უბრაელთა საზოგადოების გამოცემა ამერიკაში

Издание Общины грузинских евреев в Америке

80 John Street, 23rd Floor
New York, NY 10038
Phone: (212) 344-4564
Fax: (212) 344-6251

რეკლამის გამოქვეყნების
საკითხებზე დაგვირეკეთ
(212) 344-4564

ნომერზე მუშაობდნენ:

მისეილ ბუზუკაშვილი
მალხაზ დათიაშვილი
ეფიმ სუსუნიაკაშვილი
ალეკო სეფიაშვილი
რაბაი აარონ ხახიაშვილი
ალეკო ჩაჩანაშვილი
დან ჯინჯიხაშვილი
შალვა შალოლაშვილი

რბე ლუბაჰიჩის საუბრობიდან

როგორ გზას უნდა დაადგეს ხალხი, რათა სწრაფად და წარმატებით მიაღწიოს თავისი არსებობის საბოლოო მიზანს?

ეს თემა ფართე და მრავალმხრივია, ამიტომ მხოლოდ ერთ საკითხზე შევჩერდებით: უნდა თუ არა ილტვოდეს ხალხი ისეთი არსებობისაკენ, სადაც ძალიანმევის მინიმუმი და სიამოვნების მაქსიმუმი არის თუ - ცხოვრებისაკენ, რომელიც დაძაბული შრომით, მიღწევებითა, ძიებით და შემოქმედებით არის აღსავსე?

ან ა ლ თ გ ი უ რ ი კითხვა ყოველივე ცალკეული პიროვნების ინდივიდუალურ ცხოვრებას ეკუთვნის.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ეს პრობლემა აბსტრაქტული არ არის, იმიტომ რომ მის ამა თუ იმ გადაწყვეტაზეა დაფუძნებული ადამიანის ცხოვრებისადმი დამოკიდებულება, მისი რეაქცია იმაზე, რაც მის გარშემო ხდება, თუნდაც იმ მოვლენებზე, რომლებიც მას პირადად არ ეხება, ან პირიქით, რომლებიც უშუალოდ არიან მასთან დაკავშირებული.

ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ჭეშმარიტ სიამოვნებას იგი მხოლოდ მაშინ ღებულობს, როდესაც უშუალოდ მონაწილეობს ამა თუ იმ ქმედებაში, როდესაც შედეგი საკუთარი შრომითა და განცდით არის მიღწეული. როდესაც ადამიანი სიკეთეს საჩუქარივით ღებულობს, ეს მის თავმოყვარეობაზე მოქმედებს. გამჩენი იმის მოსურნე არის, რომ ადამიანმა მის მიერ შექმნილ სამყაროში სიკეთეს მიაღწიოს. ამიტომაც ყოველდღიური ცხოვრება ისეთ მდგომარეობას ქმნის, რომ ადამიანს

ყველაშრის მიღწევა მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც ამას საკუთარი ძალებით ქმნის. და რაც უფრო მეტი შრომა დაინარჯა, მით უფრო ტკბილია ნაყოფი.



ასე იყო ებრაელი ხალხის გაჩენის დროსაც. ეგვიპტედან ამოსვლის მოვლენები შეესაბამებოდა ღმერთის წინასწარმეტყველებას. „როდესაც გაიყვან შენს ხალხს ეგვიპტედან, სინაის მთასთან შემისრულებ წირვას“. და მიუხედავად იმისა რომ თვით ამოსვლის აქტი დემონსტრაციული საოცრებებით არის აღსავსე, იგი ზეციური ძღვენის გამოკვეთილ ხასიათს

ატარებდა. ამასთან ერთად იგი თავიდანვე გამჩენის დაძაბულ სამსახურთან არის დაკავშირებული. ეს იყო უწინარეს ყოვლისა ხალხის დამსახურება, მისი მონაწილეობა ამოსვლის ზეციურ აქტში.

ყოველი ადამიანის გაჩენა და ცხოვრება აღსავსეა საოცრებებით, მაშინაც როდესაც თითქოს და ყველაფერი ჩვეულებრივად გვიჩვენება. ხომ გვასწიფლიდნენ ჩვენი დალოცვილი ბრძენები: ადამიანი არ გრძნობს იმ საოცრებას, რომელიც მას ყოველდღიურად უხდება. ამიტომ ვლოცავთ ჩვენ გამჩენს სამჯერ დღეში „იმ საოცრებების გამო, რომლებსაც ყოველდღიურად გვიუქნი“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის და მთელი ებრაელობის ცხოვრება მუდმივ საოცრებებზე მოწმობს, მათ შორის ისრაელი ხალხის საბოლოო განთავისუფლების უდიდეს საოცრებაზე.

